


572  
2003

საქართველოს  
გარემოსდაცვითი  
აგენტობა

# დედგა

№6 2003 წელი

ქმაწვილი უნდა სწავლობდეს  
საცხოვლად თავისებობას:  
ვის არის, სიღამ მოსულა,  
ხად არის, წაგა ხადან?



### არა უშავს რა

- ზამთარს ელიან ეინვიანს,  
რა ვუშუალებო, დათუბი?  
არა უშავს რა, თბილია  
მაძინაპურბ ტუაპუკი.

### თოვლი

თოვლმა თუთრი ვუავილივით  
თრბმლის ტოტი შირთია.  
თრბმლის ტოტუე ჩიტი ჩივის:  
„შუქცივდა და შოშოვიდ“.

### კვრიბნხა

შუვი კვრინხსა ვაკიონხილა,  
შოჰუა ჩხარუნს ნუბა-ნუბა,  
კვრინხის ტოტუე ვუავი ზის და  
შუ-შუ შარცვლებს უძაღუბა.  
შირს კურდღელი მიდი-შირის,  
ბუჩქს ვარს უუღის აცაბაცა,  
შურას სტაცებს კვრინხის ტოტა,  
ვუავი რომ კრუფს შარცვალ-შარცვალ.  
ვუავს კურდღლისთვის არ სცაღლია,  
დიდთოვლობა არის სრული.

- ვაცივებები, ვუანხლია,  
ვაქუენს კვრინხსა ვაკიონხილული:  
ნუ ინაღლები, მახარია, -  
ვუავი ისევ მისდგა კენკრას, -  
შესამსე ზამთრია,  
რაც ვაკიონხილულ კვრინხსა ვუენკუ.

### მარიამ ნიკლაური-შიშიბური

### გამოცხობას რა უნდა

რა კარია! ვაშა! ვაშა!  
შოვაშხადებთ თოვლის ვანშამს.  
თოვლის ფუქილი, თოვლის რქ  
ვარუთ მუხლისხიავუე დუეს.  
თოვლის ვუელია მაწონი,  
არ ვუკირდუბა ამწონი.  
ესენ თოვლის დო,  
თოვს...  
თოვს...  
თოვს...

შე ცოქს მოვსელ, შენ - ვუნდას,  
ვამოცხობას რა უნდა.

მხატვარი-მღვარდ ამბროსამძე



# 70 ექიმი



ცივი ციკო წინ და უკან დარბოდა, გაბრაზებული იყო: დილაღრიან იმ ხეზე, სადაც ცხოვრობდა, კოდალა კაკუნა შემოვლა და თავის საქმეს შეუდგა: - კაკ, კაკ, კაკ! - დაიწყო და აღარ გაათავა კაკუნს.

- რა გააწაყლე გული, თავი გამისკდა! - უყვირა ციკომ.

იმ ხეზე ოფოფი მართაც ცხოვრობდა: - მეც აღარ შემიძლია, გული ცუდად გამიხდა, ოჰ! - ერთი ფრთა გულზე მიიღო, თვალები ნახად მიხუჭა, მერე ადგა და მეგობარ ოფოფთან წაბრმანდა სტუმრად.

- მე ვერსად ვერ წავალ, სახლში უამრავი საქმე მაქვს, თხილები, კაკლები, წაბლები... ზამთრისათვის ხომ უნდა მოვებარო. დაანებე თავი ხეს! - ციკომ იმდენი ქნა, იმდენი იჩხუბა და იჯაჯღანა, კოდალასაც გული გაუწყალდა: - კაკუნი არ გინდათ? არ გინდათ და ნუ გინდათ, ხეების მეტი რა არის, - იყვირა მანაც და გაფრინდა.

კაკუნა გაფრინდა, ციკო დაწყნარდა; უკვე დაღამდა კიდეც; ციკო თავის ფულურო სახლში შეძვრა და დასაძინებლად დაწვა. ოფოფი მართაც დაბრუნდა და თავის ბუდეში ჩაიბუღა: - ძალიან დავიღალე ვერ კაკუნით, მერე სტუმრად წასვლა-წამოსვლით, მეც დავიძინეო...

მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაიძინა; მთელი ღამე ორივენი მოუსვენრად წრილებდნენ; ისეთი ხმები ესმოდათ ხიდან... - ფუთ-ფუთ, ხრ-ხრ...

ხეს საბაგელი მატლები შესეოდნენ, ხრავდნენ და თქელეფდნენ...

ციკომ ვეღარ გაუძლო, ფულუროდან გამოვარდა და მართას ასძახა: - კოდალა ტყუილად გავავდეთ, მართა; ისევ კაკუნი არ სჯობია ამ „ფუთ-ფუთს“ და „ხრ-ხრს“!

- ჰო, ჰო, ჰო... - აწუწუნდა მართაც, - ფუთფუთს და კაკუნს ვინ ნივსი ციკო, ეს საბაგელი მატლები ჩვენს ხეს ძირფესვიანად გამოხრავენ, შეჭამენ, წავგვიტყვევენ და სახლ-კარსაც დაგვიტყვევენ... დილაღრიან მეტყვევებ ჩამოიარა, მაშინვე თვალში მოხვდა ციკოს და მართას საბრმანებელი ხე, ახედ-დახედა, კარგად შეათვალიერა, მერე ყურით მიადო: „ოჰ, ოჰ, ოჰ, ექიმი სჭირდება, აუცილებლად სჭირდება.“ - სთქვა შემოფითებულმა და წაივია. ცუდად იყო საქმე, ძალიან ცუდად.

- სასწრაფოდ მოძებნე კაკუნა, - უთხრა ციკომ მართას.

- რატომ მაინცდამაინც მე, ციკო? - აიმრიხა მართა.

- ჩემი კულით, თუმცა გრძელი, ფუმფულა და ფრიალაა, ვერ გავფრინდები, შენს ფრთებს თუ მათხოვებ, ჰო.

ციკო მართალი იყო. მართა გაფრინდა, მოძებნა კაკუნა და მოაფრინა:

- აკაკუნე, კაკუნა, რამდენიც გინდა, აკაკუნე, ოღონდ ეს საბაგელი მატლები მოაშორე ხეს, - შეეხვეწუნე ორივენი.

- ძლივს არ მოვიდნენ ჭკუაზე ეს კულაბიკები?! - გაიფიქრა ციკოზე და მართაზე კაკუნამ და მაშინვე შეუდგა თავის საქმეს.



მხატვარი ნანა სანანიძე

188 57



საქართველო  
პარლამენტის  
მდივნის  
გამტ.

## ტარიელ ჟანგურია

### გზაბის ლექსი

- ღამის გავგიჟე კაცი,  
 ხად მიდის ეს გზა, კაცი! -  
 მიდის, მიდის და მიდის,  
 რამდენიც უნდა კეცო!  
 ეთანხმებიან ხანდროს  
 ანა, ტარიკო, კესო:  
 - გზა? რა თქმა უნდა, მიდის,  
 რამდენიც უნდა კეცო!



### ნარწერა ტარიკოსთვის ნარაპარ ნიზგზა

სიხმარი. ზღაპარი. ოცნების სფერო... -  
 უსუძირფასესი ხასკელი - ზერო...  
 იკითხე, ერო და იკითხე, ბურო,  
 უსუძირფასესი მეხლანოე - ზერო!  
 რა ლექსის დამწერი ვიყავი, მე რო  
 არ აღმოძეხინა ძვირფასი ზერო!  
 ზამთარში - ბუხარო,  
 ზაფხულში - ხერო  
 მიეუარდა, რადგანაც მიეუარდა ზერო!  
 რაც უნდა ღამაში ზღაპრები წერო,  
 გახსოვდეს: არსებობს ამქვეყნად ზერო!



### გოჭის აბაპვი

სახალწლოდ მამიკონამ  
 მოიუჯანა ერთი გოჭი!  
 არც მეტი და არც ნაკლები -  
 გოჭი იყო ერთი გოჯი!  
 უღმობეღად დასაკვდილო,  
 თინის ცეცხლზე შესაწავო,  
 გოჭუნია, შე ღამაზო,  
 გოჭუნია, შე საწვალღო!  
 თუ არ გიხდა, ამ ქაითმებთან  
 შენც შეგწვან და შენც შეგჭამონ,  
 როგორც გემტევი, ისე ქენი -  
 ადგილი და ჩემთან წამო!

### წყევლა

გასანძობო სელო,  
 გასანძობო ფეფო,  
 კარგადა ხართ მუღამ,  
 როცა გწუველით ბუღო!  
 - აქ რა უნდა ძელანს! -  
 - იქ რა უნდა წებოს! -  
 დღეში ახუჯო მაინც  
 მომაცწუველის ბუღო!  
 მწუველის,  
 მწუველის,  
 მწუველის,  
 თანაც გულში მიკარავს!  
 ამნაირმა წუველამ,  
 თქვით, რა უნდა მიქნას!



მხატვარი  
ზაურ ღმინაძე



# პატარა ბილიკი ჩემი ბოგრაფიიდან

სოციალიზმი  
მშენებლის

1948 წელი იყო, თებერვალი. ორი პატარა ლექსი მივიტანე ლიტერატურულ გაზეთში. რედაქტორმა ბატონმა ვიორგი ნატროშვილმა მაშინვე წაიკითხა, ერთი ლექსი - „ზამთარი კახეთში“ მოეწონა და დაიტოვა. მალე გამოვიდა გაზეთი და „ჭაშნიკის“ რუბრიკაში სხვა ახალგაზრდა ავტორების ლექსებთან ერთად ჩემიც იყო დაბეჭდილი. რაკი პირველმა ცდამ კარვად ჩაიარა, რედაქციაში კიდევ მივიტანე ლექსები. რედაქტორმა ისევ ჩვეული ყურადღებით წაიკითხა, მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მითხრა: აბა, ახლა პროზა სცადე, მოთხრობები დაწერე. მივხვდი, ლექსები არ მოეწონა, მაგრამ არ მწყენია, მხოლოდ შემრცხვა, რომ მოსაწონი ლექსი ვეღარ მივიტანე.



ნინი  
ბეგაბაშვილი

რედაქტორის სიტყვები - აბა, ახლა პროზა სცადეო, ყურიდან არ მშორდებოდა. სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეწერა მითხრობა. და აი, ერთხელ უბანში ბავშვები დავინახე, ბოსტნის დობესთან მორგოვილიყვნენ, თითქოს რაღაცაზე დაობდნენ. ნეტავ რა აქეთ სადავო-მეთქი, - გავიფიქრე, წავედი და შორიახლოს დავდექი. იქ მოზრდილი ბიჭები იდგნენ, მხოლოდ ერთი იყო პატარა, ხუთი წლისა იქნებოდა. მოზრდილები ეუბნებოდნენ: იმ კიტრებს ხედავ, რა კარგებია? გამონგრეულ დობეში ჩვენ ვერ შევეტევიო, მოდი, შენ შეძვერი, დაკრიფე და მოგვიტანეო.

„ის კიტრები ჩვენი ხომ არ არის, რად უნდა დავკრიფო,“ - შეწუხდა პატარა.  
„მოვიპაროთ, პატრონი შინ არ არის, რას გაიგებს, შედი, შედი დაკრიფე, შენც ვაჭმევო.“ - აქეხებდნენ მოზრდილები; ჯიბიდან წითლად შეღებილი კოჭები და შურდული ამოიღეს, პპირდებოდნენ - მოგცემთო, მაგრამ პატარა ბიჭმა არაფერი ინდობა. ქურდობა სირცხვილიაო, - თქვა ჯიუტად და წავიდა.

ძალიან მომეწონა ბიჭის საქციელი. გადავწყვიტე, რაც ვნახე და გავივინე ყველაფერი დამეწერა. დაწერე, წავიკითხე და საბავშვო მოთხრობა არ გამოვიდა! მოთხრობა ჩავასწორე და ჟურნალ „ილიაში“ წავიდე. იქაც მაშინვე წაიკითხეს და მითხრეს: სწორედ ასეთი პატარა მოთხრობები გვჭირდება, კიდევ მოიტანეო.

მეც კიდევ მივიტანე, მერე კიდევ და ასე ქართულ საბავშვო ლიტერატურაში სულ პატარა „ბილიკი“ გავიყვანე. მართალია, ეს „ბილიკი“ უჩინარია, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს.

პატარა მკითხველებთან



ნამი კილახინია, მირიჯანი,  
ნინო ნაკაშიძე, ნინო ბეგზარაშვილი,  
ანნა ხახუტაშვილი. 1957 წ.



მაყელა მრეელაშვილი,  
ღლი ვალაქორია-ხიმშიაშვილი,  
ქეთევან ქალაშვილი,  
ნინო ბეგზარაშვილი. 1968 წ.

უჩინს ბავშვებთან  
ცის პირში მაყელის  
საყრფელ



როგორ ითვლიდა პაპანიანი

დღეს თუა ველამ ივის. ბავშვი თვას ხელ პატარაობიან სწავლობს, საბავშვო ბაღში. შემდეგ სკოლაში, დაწყებით კლასებში ამტკიცებს და აღრმავეებს ამ ცოდნას, ძალიან სწრაფი ტემპით მიის წინ და დაწყებითი კლასების დაბოარებისას არაფერ მხოლოდ თვლამა, არამედ მრავალნიშნა რიცხვებზე არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულებაზე არაფერი უშლება.

მაგრამ იგი დრო, როცა ადამიანი თუა საერთოდ არ იცოდა, არითმეტიკულ მოქმედებებზე რომ არაფერი ვთქვათ. კაცობრიობას აიწვლავლებს და აღსივრდა იმისთვის, რომ თუა დასწავლა, მხოლოდ თუა. ადამიანთა სხვადასხვა ტომს, სხვადასხვა ერს, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თანდათანობით მოივიანა რიცხვითი სახელები. ჯერ კიდევ ხელ ცოტა ხნის წინ (ახე ფიქრობენ ისტორიკოსები), შეივრამებტე. მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეშიც კი, არსებობდა უამრავი ტომი, განსაკუთრებით აზიების, აფრიკისა და ავსტრალიის ტერიტორიებზე, რომლებსაც კჭინდათ რიცხვითი სახელები მხოლოდ ისეთთვის, 2-ისთვის, გამოარდის შემთხვევაში - 3-ისთვის, და თუა ზოგს მხოლოდ სამამდე შეეძლო, ზოგს - ოთხამდე, ზოგს კი - ექვსამდე. თვისი ამ ზღვრის შემდეგ მოდიოდა „ტერი“, „მრავალა“.

ასეთი ტომები დღესაც არსებობენ. როგორც ჩანს, განვითარების ეს ეტაპი ვაიარა მთელმა კაცობრიობამ.

უციუთ, ჩვენი პატარა მეგობარი, შუნ და შუნს თანატოლებს განტრულებით და ამტკიონ გაგაცინობთ ზოგერთი ტომის რიცხვით სახელებს. ამის შემდეგ ადვილად წარმოიდგენ, როგორ ითვლიდნენ ჩვენი წინაპრები ძველად, ძალიან ძველად.



1x8+1=9 მსოფმსყიერი უცნაურობანი.

- 12x8+2=98
- 123x8+3=987
- 1234x8+4=9876
- 12345x8+5=98765
- 123456x8+6=987654
- 1234567x8+7=9876543
- 12345678x8+8=98765432
- 123456789x8+9=987654321

- საყურადღებო ციფრები, შედგენილი ვარსკვლავითიციხველ ასოვ სილღულისაგან
- 1x9+2=11
  - 12x9+3=111
  - 123x9+4=1111
  - 1234x9+5=11111
  - 12345x9+6=111111
  - 123456x9+7=1111111
  - 1234567x9+8=11111111
  - 12345678x9+9=111111111

კვებლად

|                                | 1      | 2     | 3     | 4     | 5     | 6     |   |
|--------------------------------|--------|-------|-------|-------|-------|-------|---|
| ანღამანების<br>შენა            | კანენი | კანა  | კანა  |       |       |       | ნარინინის<br>შენა<br>მინარინა ჯანუი<br>მინარინა |
|                                | მინა   | ანენა | ანენა | ანენა |       |       |   |
| ვირადიურის<br>შენა<br>მინარინა | ნინი   | ანენა | ანენა | ანენა |       |       | ანსკალიან<br>მინარინა<br>მინარინა<br>მინარინა   |
|                                | მინა   | ანენა | ანენა | ანენა | ანენა |       |   |
| პანასურის<br>შენა<br>მინარინა  | მინი   | მინი  | მინი  | მინი  | მინი  | მინი  | პანარინა<br>მინარინა<br>პანარინა                |
|                                | მინა   | ანენა | ანენა | ანენა | ანენა | ანენა |   |
| მინარინის<br>სანის<br>მინარინა | პანენა | მინა  | მინა  | მინა  | მინა  | მინა  | კანარინა<br>მინარინა<br>ანსკალიან<br>მინარინა   |
|                                | მინა   | ანენა | ანენა | ანენა | ანენა | ანენა |   |
| პანარინის<br>სანის<br>მინარინა | მინი   | მინი  | მინი  | მინი  | მინი  | მინი  | პანარინა<br>მინარინა<br>პანარინა                |
|                                | მინა   | ანენა | ანენა | ანენა | ანენა | ანენა |   |
|                                | I      | II    | III   | IV    | V     | VI    |   |

თვლსეციები რას ვსწროობები

აღვი ისეთი რიცხვა რომელიც შედგება ასეულებიდან, ათეულებიდან და ერთეულებიდან. ერთეულების მაჩვენებელი ციფრი ოთხი ან მეტი უნდა იყოს ნაკლები ასეულების ციფრზე. გადამტრუეც ეს რიცხვი და პირველ რიცხვს გამოაკლები. ჯამს მიუმატვი მისივე გადამტრუელი რიცხვი; რაც გამოტვა, გასკეთი სამად და ერთეულების გამოტვა 363.

$$\begin{array}{r}
 582 \\
 - 285 \\
 + 297 \\
 \hline
 10893 = 363
 \end{array}$$



# გაყვით შენი სკოლით



თუ გინდა, რომ ოჯახში საახალწლო მზადება უშინოდ არ ჩაიაროს, ჩვენი რეკომენდებები და რჩევები დაიხმარე, მარაქში გაერეე და, პირობას გაძღვევით, ახალი წლის დამეს ნამდვილად იამაყებ შენი ნახელავით.

გოზინაისთვის კაკლის დამტკრევას რომ დაიწყებენ, უფროსებს სთხოვე, რამდენიმე ცალი ისე გაგტუნონ, ნაჭუჭი არ დაიმსხვრეს. ასეთი მთელი ნაჭუჭისგან უამრავი საინტერესო სათამაშოს დამზადება შეიძლება. თევზის გასაკეთებლად დაგჭირდება სქელი ფერადი ქაღალდი ან მუყაო, რომელსაც თავად გააფერულებ. გამოჭერი თევზის კონტური, ორივე მხრიდან მიაწებე კაკლის ნაჭუჭებით, მიუხატე თვალები და სათამაშო მზად არის. კიდევ ცოტა მასალა, ცოტა ფანტაზია და შენი ნაძვის ხე თხილამურებთან კაცუნებით, ჭიამაიებით, ნავეებით და ათასგვარი სათამაშოთი დამშვენდება.




ასეთი კონტური დააწებე მუყაოზე და დაფარე ბაზის ქულბით. მერე ფერადი ქაღალდისგან გამოჭერი ქუდი, თვალები, ცხვირი, ხელები და ძირითე შენი თოვლის პაპა.



დაგჭირდება 20 ცალი კურკაგამოცილი ალუბალი (კომპოტიდან ან მურაბიდან), ერთი ფილა შოკოლადი, ერთი ჭიქა გატარებული თხილი ან ნიგოზი და ორი სუფრის სოფი ალუბლის მურაბის წვენი.

გახეხილი შოკოლადი, გატარებული ნიგოზი და მურაბის წვენი კარგად აურიე. მიღებული «ცომი» დაყავი პატარა ნაწილებად. აიღე ერთი ნაწილი, ხელის გულზე გააბრტყე, ჩაღე შიგ ალუბალი და მკორე გაბრტყელებული ნახევარი დააფარე. მერე ფრთხილად დაამოკვალე, ამოვლე შაქარში და გააშრე. მომზადებული ბურთულები ღამაზად გაფორმებულ ყუთში ჩააწყვე და ისე მიიტანე საახალწლო სუფრასთან. შეგიძლია, საჩუქრადაც მიართვა ვინმეს.



გვერდი მოამზადა მარნა ჯორჯაძემ ანი კვაპანტირაძემ

სიყვარულსა და სიბედობას

შეყი



**WENDY**  
**TOP MODEL**  
 AT „DILA'S“

მარიამ  
 საალი  
 შეილი  
 - მახა  
 ზე  
 ლი

მარიამ  
 საალიშვილი-  
 მაჩაბული

დალი მაზიშვილი

**სანახლელო ზეიფა**

დიდხანს თვლემდა  
 ზამთრის დამე,  
 ქარი შლიდა კარავს,  
 ბიკს სიშმარი ენახა და  
 თანჯც იმისთანა...

ქათქათებდა შოა და ბარი,  
 დავიოვა შორა,  
 ერთ შორეულ ქღონან ტყეში  
 სტვეხდა ქარბორბლა,  
 გ'ხას ურედა თოვლის მახას,  
 გ'რძელწვევას და ტახანდს.





# პერსხლისფერი პრინცი



- მოდი, სალომე, ამაღამ არ დავიძინოთ. - უთხრა სასტუმრო ოთახში დივანზე წამოწოლილმა შალვამ თავის პატარა დაიკოს და თან გემრიელად დაამატუნარა.

- ხომ გახსოვს, შარშან თოვლის პაპამ საჩუქრები რომ მოგვიტანა, უკვე გვეძინა და ვერ დავინახეთ.

- ჰო, შარშანწინაც ასე არ იყო? ზუსტად იმ დროს ჩაგვეძინება ხოლმე, - მიუვო სალომემ და თან დედას გახედა, რომელიც წინასაახალწლო სამზადისში იყო. როგორც უფროსებისგან იცოდნენ, თერთმეტი საათისათვის სტუმრებს ელოდნენ.

- დე, ახალ წლამდე რამდენი დარჩა? - ჰკითხა სალომემ. დედა ისე იყო გართული ნამცხვარ-გოზინაყის კეთება-მოკაზმვით, შეკითხვა არც გაუგონია.

- კიდევ... სამი საათი, - უპასუხა მამამ ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშოვრებია.

- ესე იგი, დაახლოებით სამი გაკვეთილი და ცოტა მეტი რომ იჯდე და უსმინო მასწავლებელს, - განმარტა შალვამ.

- ჰო, მოთმენა შეიძლება, - მრავალმნიშვნელოვნად დასძინა სალომემ.

- ნეტავ რა საჩუქარს გვიმზადებს თოვლის პაპა ან სად დადებს: ნაძვის ხესთან, ბალიშის ქვეშ თუ სადმე სხვაგან? - თავისთვის მსჯელობს შალვა.

- ნეტავ რას მომიტანს? - ფიქრობს სალომე და, ეტყობა, მასთან ძილის მინისტრი აპი-

რებს სტუმრობას.

- სალომე, წამოდი, საძინებელში გავიდეთ, იქ დაველოდოთ ახალ წელს და თოვლის პაპას. საძინებლის ფანჯარა აეროპორტს გადაჭყურებს. იქიდან მომავალ პროექტორებს შუქზე დამის თოვა ერთიორად მომსიბღველია.

- ეს ახალი წელი ძალიან ღამაში იქნება, არა, სალომე?

ორივეს ცხვირი ფანჯარაზე აქვს მიჭყლებილი.

- ნეტავ ყოველ ახალ წელს მოდიოდეს ასეთი თეთრი, ქათქათა თოვლი, ჩვენი ცივაც აღარ მოიწყენდა, - ჩაილაპარაკა სალომემ და დაამატუნარა.


მიუხედავად ბავშვების მტკიცე გადაწყვეტილებისა, ახალ წელს თოვლის პაპას ფხიზლად დახვედროდნენ, ათიოდე წუთში ტანგაუხდელებს ეძინათ.

- ნახე, შალვა, ნახე, თოვლის პაპამ რა მომიტანა! - სალომე სტუმრების მხიარულ, ხმამაღალ მილოცვებს გაეღვიძებინა და გახარებული, ზუსტად თავისი სიმაღლის ოქროსფეროტიან ლურჯთვალა თოვინას გულში იკრავდა.

შალვას გაეღვიძა. მაშინვე ბალიშქვეშ შეყო ხელი. რამდენიმე წამს აფათურა, თვალებით ნაძვის

და კვრავდა ქარი სურჯინს, ღამაზს, ირმისთვალას, სახუქრებს კი ვურ იტყვდა მინდორი და ჭაღა. მატარებლით იქნარდა თოვლის დედოფალაც.

ღეგეს აეკლო ბატი ყუფით, დრუნდა კუნძაცარას. ციუყებს წაბლის მთელი კოდი ისევე მოეპარათ. ვირთხები და ზღარბუნები თვლიდნენ ზამთრის მარაგს,



ხე მოათვალღერა, ბალიში სასწრაფოდ გადმოაბრუნა - არაფერი იყო. არც ნაძვის ხის ძირას ჩანდა რამე სამიქლო. ბიჭს სახე მოეღრუბლა, თვალები აუწყლიანდა.


- რატომ გამოერჩი თოვლის პაპას? რატომ მოხდა ასე? - შალვა საწოლზე ჩამომჯდარიყო, ბალიში მუხლებზე დაედო და წყლიანი თვალებით ერთ წერტილს მისწერებოდა.

- იქნებ ვერ მოვძებნე კარგად. იქნებ სხვა ადგილზეა დამალული საწუქარი! - გულში იმედის ნაპერწკალმა გაკვრა. ის იყო, თავიდან უნდა დაეწყო ძებნა, რომ მხარზე ხელის შეხებამ იგრძნო, შემობრუნდა და... თვალები გაუფართოვდა. მის წინ თოვლის პაპა იდგა, ნამდვილი თოვლის პაპა, თეთრწყვერა, ლოყებდაჟღაჟა, კეთილად მოღიშარი.

- სუუ... თეთრხელათმნიანი ხელი ტუჩებზე მიიდო თოვლის პაპამ და ანიშნა, ხმა არ ამოიღო. მერე ღმიძლით ჩასწურუნულა: - ახლა თბილად ჩაიცვი და გამოძეკევი! ბიჭუნამ სასწრაფოდ სტაცა ხელი ქურთუკსა და ქუდს. თოვლის



კუ კუთხეში ქათამთებდნენ, შეიღმა გაწვავდა. მკ ზავრებს ღსენით უდიმიოდა დათოვლილი შარა, წვროების უკნდიც ახლდა, ვკმქელი, კელაურუარა.



მხატვარი  
პაპა ქურსული

პაპამ ხელი მოჰკიდა და გასასვლელისაკენ გაემართნენ. სახლიდან მათი გასვლა მხოლოდ მიმის არ გამოჰპარვია - შავ პუდელს, რომელსაც მუდამ მოძრავი, მოუსვენარი პაწია კუდი რატომღაც თეთრი ჰქონდა. ისიც ფეხდაფეხ აედევნა.

შალვას გასაკვირად, თოვლის პაპამ ქვემოთ კი არა, ზევით აიღო გეზი.

- „ზევით რატომ მიდის?“ - მიჰყვება შალვა და ფიქრობს: „ზევით რა უნდა, იქ რა უნდა იყოს?“ - პო... გაახსენდა, რომ ერთხელ იყო ნამყოფი სახურავზე. მეზობლის ბიჭებთან ერთად. უნდოდა დელტაპლანი გაეკეთებინა, რომ სახურავიდან აეროპორტში გადაფრენილიყვნენ. იქ კი თვითმფრინავების მეტი რა იყო. ჩასხდებოდნენ და გაფრინდებოდნენ, საითაც მოუსურვებოდათ. მაშინ მწარედ მოხვდა ამ იდეის გამო. მაგრამ ახლა, ახლა სად მიდიან?

ორიღე წუთში სახურავზე აღმოჩნდნენ. აღარ თოვდა, ღრუბლებიც სადღაც გამქრალიყო.

თოვლის პაპა შერდა. რამდენიმე ნაბიჯი მარჯვნივ გადადგა. ბიჭუნას ანიშნა, ახლოს მოდიო, მხარზე ხელი მოხვია და აღმოსავლეთისკენ მიახედა. შალვას სუნთქვა შეეკრა, გული აუჩქარდა, უნებურად თვალები მოისრისა: მათ წინ ვარსკვლავების და ფეიერვერკების შუქით განათებული ვეტრმფრენი ვერცხლისგვრად ელავდა.

მოარეკა კეწვაროც რობდა, ნახი, სიფრიფხანა, თოვლის კაბას ვერ ირგებდა, სტოდა განდგანა ხან თუ უკან დაოქობდა, წინ ვარიოდა ხანაც.





მოძავალი ნომრიდან „დილა“ კიდევ ერთ ახალ ზღაპარს შემოვთავაზებთ. ზღაპარში უცნაურ, სიკეთის მომტან, მომღერალ ცხენზე მოვითხრობთ... იგი მომხიბვლელად და მელიოდურად დაქრის... თუ ძალიან ინატრებ, სიზმრად გეწვევა და ვარსკვლავების შემოგატარებს...

*აგერ ნავარდა,  
სილაშაში ვანთქმული პრინცი,  
კვიცი გვარზე ხტის,  
კვიცია და შერე რა კვიცი...*

*დაქრის, თამაშობს,  
მშვენიერი სიმღერა იცის,  
თუკი ინატრებ,  
მოგატარებს ოცნებას ციმციმ...*

მაგრამ აგერ ზღაპარი უნდა წაიკითხო, ჩაწვედ უცნაური ცხენის ფატიერა-კიან თავგადასავალს... — იმას, თუ რა თავგანწირვით ცდილობს უფსკრულში გადაეხილი დღლის დახსნას...

კარგად შეიმეცნე, თუ რა სახის ალურებს ფლობს ეს მართლაცდა მრავალმხრივი უნარით დაჯილდოებული ნავარდა...



ჩ --- ი



ალური ცხენის სელის სახეებია. ალური **ნაბიჯი** — ამ დროს ცხენი ორივე ფეხს რიგრიგობით დიაგონალურად ადგამს. **ჩორთი** აქჩარებული ალურია, ცხენი ერთდროულად დიაგონალურად ადგამს ორ-ორ ფეხს. **თოხარიბი** (აორლა) ორი ტემპით სრულდება, ცხენს რიგრიგობით გააქვს ორივე მარჯვენა და ორივე მარცხენა ფეხი. თოხარიბი უფრო მძარი ალურია, ვიდრე ჩორთი. **ნაპარლი** ნახტომისებრი ალურია.

არსებობს ხელოვნური ალურები: **სააღლუმო ნაბიჯი** — ცხენი მიდის ჩორთით და მალა სწევს გამართული ფეხს; **პასაში** შემოკლებული ჩორთია, **პიაში** — ადგილზე შესრულებული პასაჟი, **პირუშტის** დროს კი ცხენი წინა ფეხებით შემოხაზავს სრულ წრეს.

ახლა კი გულდასმით დაათვალიერე ქექმა-ნახატები და ნავარდას ფეხის მოძრაობის მიხედვით ამოიკანი მისი სელის ესა თუ ის მანერა...

მისთვის, ვინც დასახელებებში გამოტოვებულ ასოებს სწრაფად ჩაწერს, სიტყვებს სრულად გამართავს და კარგადაც დაიმახსოვრებს, ზღაპრის კითხვისას გაუგებარი აღარფერი იქნება.




6 --- ი



პ --- ი



6 --- ი



პ --- შ

პ --- ი

## ზღაპრული სურვილებით ავტორი ჯანრი ბოგაშვილი



და მღეროდა დედამიწა  
მე ზაერთა ვასანდად  
ქათათებდა მთა და ბარი,  
დაეთოვა მთა,  
ბიჭს სიწმარე ენახა და  
თანაც ამისთანა.



მხატვარი  
სალლომე პაიჭაძე

მარტო ადამიანი არ ეტანება მაგარ სასმელებს. არიან პირუტყვნიც, რომელთაც მეტისმეტად მოსწონთ მათორბელი სასმელები.

ცნობილია, მაგალითად, რომ მაიმუნებსა და სპილოსნოს ძალიან უყვართ ლოთობა და გადაკრულები მეტად მხიარულ გუნებაზე დგებიან. რასაკვირველია, პირუტყვთათვის ძნელია მაგარი სასმელების შოვნა, და სწორედ ამიტომაც, რომ ლოთ ცხოველებს ხშირად ვერ ვამჩნევთ.

განსაკუთრებით დათვის უყვარს მაგარი სასმელები. დათვის უფრო არაყი მოსწონს და შემთხვევა რომ მიეცეს, რამდენიმე ბოთლს თავისუფლად გადაკრავს და შეზარხოშებული მხიარულ გუნებაზე დადგება.

ცხვრებსა და თხებსაც უყვართ მაგარი სასმელები. ყურძნის წვესს სიამოვნებითა სვამენ და ალტაცებაში მოდიან, ცოცხლებიან და ხტუნაობენ, როგორც ცოფიანები. ძაღლებიც მეტისმეტი მოყვარულნი არიან ლუდისა.

ფრინველებშიც ბევრია მაგარი სასმელების მოყვარული. თუ ხშირად ვერ ვამჩნევთ ლოთ ფრინველებს, მიზეზი ისაა, რომ მათი თვალყურის გდება ადამიანებისთვის ადვილი არ არის.

განსაკუთრებით ბატია ლოთობით ცნობილი. ბატები არასოდეს გაუშვებენ შემთხვევას, თუ გარემოება ხელს უწყობს, ლაზათიანად არ გამოთვრნენ. ერთხელ თუ გასინჯეს სასმე-

ლის გემო და გაუტკბათ ლოთობა, შემდეგ მათი გადაწყვეა ისე ძნელია, როგორც დიდი ხნის ლოთისა.

იყო, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: დასაკლავი ბატები დაემწყვდიათ და სასმელ-საჭმელი ბლომად მიეცათ, უკანასკნელი დღეი სიამოვნებაში გაატარონო. იქვე მეორე კუთხეში, სადაც ბატები დაემწყვდიათ, უშველებელი კასრი არაყი იდგა. კასრის პირთან სათლი იდგა, რომ გაყიდვის დროს არც ერთი ცვარი არ დაქცეულიყო. ამ სათლში ყოველთვის ბლომად იდგა არაყი.

ერთ მშვენიერ დღეს მოსამსახურეს დაავიწყდა ბატებისთვის კარი მიეკეტა, რომ მეორე კუთხეში გასვლა არ შესძლებოდათ. ბატები გამოვიდნენ თურმე და აქა-იქ ყველაფრის ქექა დაიწყეს, თითქოს რევიზორები არიანო. უცბად კუთხეში არცის სათლს წააწყდნენ... ჩვენი რევიზორები რიგიანად გამოთვრნენ და აუწერელ ყოფაში ჩაცვივდნენ: ვეხებზე ძლივს იდგნენ, ძლივს დაბავჯბავჯებდნენ, გაჰქონდათ ყიყინი, სინებდნენ, თვალბებს აბრიალებდნენ, ერთმანეთს ჰკბენდნენ. ბოლოს სულ გადაირივნენ, ახტნენ, ფრთა ფრთას შემოჰკრეს და ყვირილ-სისინით იქაურობა აიკლეს. ყოველივე ეს იმით გათავდა, რომ ბოლოს ყველანი დაკლულბებივით მიწაზე გაწვნენ.

„ნაქალაქი“ №20, 1909 წ.



მხატვარი  
თბა მიქაია

ლევან ბაგუხაძე

# თავისუფალი თემა

50



ერთი ლამაზი სოფლის სკოლაში მეორე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა საშინაო დავალება მისცა. ბავშვებს თავისუფალი თემა - „რა მიყვარს“ უნდა დაეწერათ. მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ ამ ქვეყანაზე ბევრი რამ არის სასიყვარულო, მაგრამ თქვენ ერთ-ერთზე დაწერეთ სუფთად და ლამაზად.

რალა თქმა უნდა, ბავშვებმაც დაწერეს, როგორც შეძლეს, ერთ ცენაფა ბიჭს კი ძალიან გაუჭირდა. ეს ბიჭი საერთოდ მკვირიცხლი და ბეჯითი მოსწავლე იყო. ახლაც სახლში მისვლისთანავე რვეული ამოიღო და მაგიდას მიუჯდა. „რა მიყვარს“ დაწერა სათაური და ჩაფიქრდა. გონებაში ჩამოთვალა, რა უყვარდა: დედა, მამა, დიდი, ბებიცა, სკოლა, სამშობლო... ყურბანი, მსხალი... მერე უცებ - საჭმელები აქ რა მოსატანიაო და სხვა მხრივ გააგრძელა: შემოდგომა, ზამთარი, ვაზაფხული, ზაფხული, ფეხბურთი, ლახტი... უცებ იფიქრა - მოდი, დაწვერ ცველაფერი მიყვარს-მეთქი და ამით ჩამოეთვლიო, - არა, რაიმე რომ გამოძინჩეს - სირცხვილიაო, ფიქრითვე უარყო ფიქრი.

ამასობაში უფროსი და მოვიდა სკოლიდან. ბიჭმა რვეული ჩანთაში ჩადო და დასთან ერთად ისაძლია. მერე არითმეტიკის დავალება ლამაზად ჩააწიწიკა, სუფთა ყდაშემოკრული ქართულის წიგნი ილიაში

ამოიჩარა და ბილიკს დაუყვა ვენახის ბოლოსაკენ, სადაც დედა ეგულებოდა. დედა მოეფერა და ბოროლასთან ღორთქო ბალახი გაატანა. „დაწვერ, ბოროლა მიყვარს-მეთქი“ - არ შორდებოდა სადავალეობი საფიქრალი ბიჭს. მერე გაკვივითლს ჩაუჯდა ატმის ხის ძირში, რამდენჯერმე წაიკითხა და დედას მიუჯდა. დედამ შეაქო და ბავშვებთან სათამაშოდ გაუშვა.

იმ დამეს დიდხანს არ დაეძინა, დასაწერი დავალება არ ასვენებდა... დღითი ჩვეულებრივად გაეღვიძა, გარეთ გამოვიდა, ხელ-პირი უჩუმრად დაიბანა და მაგიდას მიუჯდა.

## მე მიყვარს სიყვარული.

ლამაზად დაწერა, წერტილი დაუსვა და შვებით ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოიხსნა.

... მასწავლებელმა პირველივე გაკვეთილზე ქართულის დავალება მოიკითხა. კლასში ათიოდე ბავშვი იჯდა. ყველა სათითოდ მიდიოდა მასწავლებელთან და ნაწერს უჩვენებდა. ზოგი შექებას იმსახურებდა, ზოგიც - შენიშვნას.

ჩვენი ნაცნობი ბიჭი ყველაზე ბოლოს მივიდა მასწავლებელთან და რვეული გაუწოდა.

მასწავლებელს თვალები გაუბრწყინდა და იწინასწარმეტყველა:

ეს ბიჭი პოეტი გამოვა!  
ბიჭს შერცხვა და კინაღამ ცრემლები გადმოსცვივდა...

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანშიძე



**ფიფქები თბილისში**

**მანანა კაკარიძე**  
**კნუტმა შავაშინათ?**

წამთარი... ცივა, ცივა,  
მაღლა ციდან ფიფქი ცვივა,  
სეებიც კი მობუსულან,  
ბედღურბო, თქვენ ან გცვათ?  
წართლაც შეუპოვრად დაფურთ  
ეინვა, სუსნი ვურ გავინებთ,  
სუმს ფისოს რომ დანინავთ  
რად უკნდებთი, თქვით, მამინუვ?  
ფისუნია არას კავებთ,  
ჯურ კნუტია, შაწაწინა,  
წამთარი ვურ მოგკრიათ  
ციცქნა კნუტმა შეგ აშინათ?

გარეთ უამოდით, დათო, იღია,  
მთელი გარემო დათოვლილია,  
გამოვიპარეთ ამ დილით ციდან,  
თბილისში უოფნა ძალიან გვირდა!  
დროსე უამოდით და გუვიამაშეთ,  
თორემ სვალ უკვე აღარ ვიქნებით!  
- ასე უხმობენ თბილისელ ბავშვებს  
ციდან მოსული თოვლის ფიფქები.

**ლია დაუშვილი**  
**ეკი**

იმ დღეს მამალს ვუჯაღურებდი  
და ვეკვირდი - ეკილიყო!  
ვიდრე შასუსხს მიბრუნებდა,  
არც კი ჩანდა ვის იყო.  
მოდიოდა ხმა შოიდან:  
ეკილიყო, ეკილიყო!  
თურმე მიუბო მასხსობდა,  
ასე მითხრა მაიკომ,  
ამ ხასწაულის ეკი ჰქვია,  
ხემო კარგო მამიკო.

**ლიდა სვვილია**  
**ზღაპარლექსი**

წუსელის წეცამ ფიფქები  
რად დამიფქვა და უამიცრა,  
ვხილეთ, თოვალ-ფიქვილი წელამი  
შურის თეთრ ცომად გადაიქრა.  
...ეცნობ და ვაცნობ ღვაფაშებს,  
ბავშვებო, აღბრ-ღვამძეო!  
ერთი მწე-შური ავა, შენ!  
ეს, მოვარე-შურიც მამამენს!

**ნუნო ქამუკაშვილი**

\*\*\*  
ბაღში უკვე სმინავთ სეებს  
ქარისაგან გამარცხვლებს...  
ურუნქებიც კი ფეხკარუფით  
ფოთლის ნოსსე დაცუნცვლებს.

# პატარა მათხოვარი

შესეთ ზაქია გოგონას,  
კაბა რომ დაჭკონ კებია;  
მათხოვრად დადის, ამხანაც  
წამება წილად რუგებია.

მარტოდ შთენილი ზატარა  
დღე-მუდამ დაიარება,  
გამელელს გაუმეურს გამხდარ ხელს,  
საბრალდოდ ემუდარება:

„ძია მომხედე თბოლსა,  
არაფინა შეავს მოძულელით,  
სიმშილ-სიცვიე გ უღს მიკლავს,  
შემდეგ უარესს მოფელი.“

იმას სთხოვს, კვლად ცრემლებით  
სხვას შესტიკტიკებს ამხანაც:  
„მტერმა დაგვიწვა სახლ-ვარი,  
ტყვია მონარტყეს მამასა.“

იქ, საუდრის უკურდით დაეცა  
იმასთან სააფლავია,  
იმ დღიდან ჩემი დღეებიც  
კუკუქუქით და შავია!“

ამაჟ სიტყვებით გოგონა  
ქუჩებში დაიარება,  
გამელელ-გამომელელს შესტირის  
და შველას ემუდარება.

სოლ. ბ.-ძა

„ნაბადული“ 1907 წ.



# პატარა მანქანა



ზატარა მუცლები,  
ჭიპებთან მიკურული  
ჩანთებით უცვლელით,  
ივსება  
ხურდებით ნაშოვნი  
ლუკმებით  
უკლებლივ.  
საღვთი რეზინი  
წიტნის თუ ჟოლოსი,  
ვაჯონის თავში და  
ვაჯონის ბოლოში.  
ცულოფნის ზარკებით,  
გახეთით – „ხუმრობით“  
გროვდება ხურდები  
და ქრება მანუფობა.  
ასეთი სიცვიე,  
ასეთი ქაოსი,  
ასეთი ტკივილი  
ხედავი რამ შობა?!  
ზატარა მუცლები,  
ჭიპებთან მიკურული  
ჩანთებით უცვლელით,  
ივსება  
ხურდებით ნაშოვნი  
ლუკმებით  
უკლებლივ.

ნინო არსენიშვილი

„ღილა“ 2003 წ.



ეს კრსეოვრდი შედგენილია ურნალ „დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედიის II ტომის მიხედვით.

**კითხვები:**

1-7 (წრეზე). სად აღმოაჩინეს „პირველი ევროპელის“ თავის ქალა?

- ისრის მიმართულებით: 1. „სამყაროს ღერძი“ შემერული მითოსის მიხედვით;
- 2. რა ეწოდება ადრეული და ძველი სამეფო პერიოდის ეგვიპტურ აკლდამებს?
- 3. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ უამთაღმწერლები;
- 4. ასურეთის დედაქალაქი;
- 5. „გოდების“ სავარაუდო ავტორი;
- 6. ნახევრად აღამიანის და ნახევრად ცხოველის ფიგურა;
- 7. რომელი ქვეყნის მეფეები იყვნენ დავითი და სოლომონი?

**ჯაბა და კახა ჯაჭვამიანი**

კაჭრათის სპოუალო სკოლის მოსწავლეები



**გამოვიდა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ III წიგნი**

სალომა ოშიაძე

**„დილის“ ენციკლოპედია**



ბევრი კითხვის პასუხია, უმარავის, განა ერთის, იქ მოთხრობილ ყოველ ამბავს სათანადო ფოტოც ერთვის.

ამ ფერად წიგნს გადაშლი და ცოდნის კარი გაიღება. მისი კითხვით, გეფიცებით, ზარმაციც არ დაიღლება.

ზოგი ნატრობს ველოსიპედს, ზოგის ნატრა მოპედია, მე კი მინდა, რომ მივიღონ „დილის“ ენციკლოპედია.

მეგობართან როცა ვნახე, გაღაფურცლე, ვეღარ მოეწყდი. გავფიქრე, რომ მანამდე დრო დაეკარგა; ტყუილად მოვიცი.

ზოგი ნატრობს ველოსიპედს, ზოგის ნატრა მოპედია, მე კი ველი, მომიტანონ „დილის“ ენციკლოპედია.

ნოროზი

ნინა

სალომი

სოფო







## მოსწავლა ბაღურაზი



**მარიამ  
კვარაცხვილი**  
8 წლის

ბელურებმა მაყვლის კანკეით გულები რომ იჯერეს მერე უნდათ სის ტოტკმზე გულიანად იმდერეს არ აცადა ცივმა ქაშმა დაქროლა და დაქროლა ბელურები გაფანტა და წვიმა წამოაუოლა მისემ თავისი გაიტანა თბილად მოგვართო სსიუებით ბელურები გაშიცოცხლდნენ გაგვანარეს სიმდერით.

## გლები და ცხვარი

იყო ერთი გლეხი, არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი. აფხაზეთიც დიდი ხნის დაკარგული იყო. გლეხს მხოლოდ ერთი ქოხი ჰქონდა და ერთი ცხვარი ჰყავდა. ძალიან უყვარდა თავისი ცხვარი, ყოველდღე აძიკვებდა, ხოლო როცა ძალიან ცხელიდა, ლამაზად კრეჭდა.



**ირაკლი  
გაბუნია**  
10 წლის

ერთ დღეს, საძივარზე რომ წაიყვანა, თან პურის ნაჭერი წაიღო. გაზში შემოხვდა მოხუცი და პური სთხოვა. გლეხმა მთლიანად მისცა პურის ნაჭერი.

მეორე დღეს ცხვარი გადაიქცა ფერადი, მივიდა გლეხთან და უთხრა: - მე შენ მოგცემ ისეთ მათრახს, რამდენჯერაც დაარტყამ მიწას, იმდენი ჯარისკაცი გაჩნდება.

გლეხმა ფერია რომ დაინახა, თავზე ცივი წყალი გადაისხა, ხომ არ მეღანდებო, მაგრამ ეს სინამდვილე აღმოჩნდა.

გლეხმა უამრავჯერ დაარტყა მათრახი მიწას, დიდი არმია შექმნა და აფხაზეთის დასაბრუნებლად გაგზავნა.

## როგორ მენატრება თიოვლი

ღვემებერში რომ გათოვდება, დიდი თოვლი მოვაო, იტყვიან უფროსები. პატარებიც გულდასმით ელიან თოვლის მობრძანებას, მაგრამ თოვლი არა და არ მოდის. პავშეებს ეს ძალიან სწყინთ, სულ დასევდიანებულები დადიან.

- ზამთარი რისი ზამთარია, თუ თოვლი არ მოვიდა, - ამბობს ერთი.

- რა ლამაზია თოვლი, როცა ფანტელების საბანს გადააფარებს ჩვენს სოფელს, - მხარს უბამს მეორე.

- შარშან დიდი თოვლი იყო, მაგრამ რა გამოვიდა, წულს სულ აღარ მოდის, - წყევით ამბობს მესამე.

- დედიკო, ძალიან მენატრება თოვლი, მან კი როგორ გამაბარაზა, სულაც არ მოვიდა. რა ვაქაცია, მზეს თუ ვერ გამოასწრო? აბა ეს რა არის, მთელი ზამთარი მზეს უნდა ვუცქიროთ? - ტირილით წამოიძახა სულ პატარამ.

მართალია, შვილებო, თოვლმა თავი მოგვანატრა - ამბობს დედა, მაგრამ ერთხელ, მოულოდნელად მინც გესტუმრებათ... ახლა კი საწოლი ოთახისაკენ

პატარებს დიდხანს არ დაემინათ, ისე კი ყველამ ერთნაირი სიზმარი ნახა: გარეთ ხვავრეილად ბარდნიდა და ბარდნიდა.



**ჯაბა ბარაბიძე**  
11 წლის

## ღამის მებზური


სადღაც იქით, ალიონი ცეცხლს ანთებდა თითქოს, აქ კი მთვარე ანთებდა ჩანხელებულ სრიოკს.

მთვარე ისევე მოგუყვებოდა და გზას გვიანთებდა, ასეთი მკესურს, ჩვენ კი არა, მსყეს კი ინატრებდა.




კომისარ თანდილას

# საქმი №004




წინასახალწლო დღეებში თოვლის პაპების უფლებათა დამცველმა საქართველოს რეგობრულმა ორგანიზაციებმა საგნავაშო ინფორმაცია გაავრცელეს:

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში წარგზავნილ თოვლის პაპებს შორის ერთ-ერთი ცალბაი, ანუ ის თოვლის პაპა კი არაა, ჩვეულებრივი ადამიანია. მან ერთი თვით აღრე ზელში ჩაიგდო წერილები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ თოვლის პაპებს და აურია - გოგონებს შეიძლება ჯვარისკაცები დახვდეთ ნაძვის ხის ქვეშ, პიჭებს კი - თმაპუჭუჭა თოვნიები. ამის შემდეგ გაიტაცა ერთ-ერთი თოვლის პაპის ტანსაცმელი და ასე გადაცემული აპირებს დაემალოს სამართალდამცვეებს."



საბანდინირო, ფოსტის ერთ-ერთი თანამშრომლის ალფრედის მიხედვით მოხარულა დანაშაულის ფოტოგრაფიის შეღებვა.




ი კ ე ბ ნ ე ბ ა !

საქმეში პირველი დღიდანვე ჩართო კომისარი თანდილა, ურთულეს და ყველაზე მწვანეაგამოსაძიებელ საქმეთა დილსტატა და ფოტორობოტის პირველად ნახვისთანავე დაასკვნა: ეს საქმე ანცობასა და თინამაზობაში აღრე არაერთხელ შემჩნეულ **კანკალუს** (ნამდვილი სახელი - რატა) ზელწერას ჰგავდა. თავის დროებში კომისარმა მამივე იპოვა ეკვმიტანილის განსაკუთრებული ნიშნები: ტურჩის მარცხენა ზედა კუთხეში აქვს ხალი, ჯიბე ყოველთვის საცხე აქვს „დათუნია“ კანფეტებით, უპირატესობას ანიჭებს ტარხუნის ლიმონათს, გამუდმებით ღლინებს სიმღერა „აფრების“ მქოლიდას, როცა ფეიქრობს, ზელს მარცხენა ყურზე იკიდებს...




როგორ ფოტოზაა დანაშაუმი და რა ნიშნით აპირებთ კომისარაბა.

თანდილას თანაშემწეებმა სამძებრო განყოფილებიდან თოხი ეკვმიტანილის სურათი წარუდგინეს კომისარს. მან თითი ერთ-ერთი ფოტოს დალო და განკარგულება გასცა, დაეპატონებინათ. როგორც ყოველთვის, თანდილა მართალი აღმოჩნდა.



P. S. ხულ დაგვაიწყდა, გაგვეფრთხილებინეთ, რომ საქმეების არევის სამშობრება აღარ არის: თინამაზობის მოყვარულმა პატარა დანაშაუკვმ თავისი არეული საქმე ფითონვე მოაკვარა.



მთავარი რედაქტორი ღლორე ფოჭუქიანი

სარედაქციო საბჭო: ღოჯან ბაბუნაშაი, ალექსი ბაბუნაშაი, ნანი ბაბუნა, ნანი კვარაცხელია, მარია კვაჭანტირაძე, შამ ლავროვი, ირაკლი ლიპარტიანი, ირაკლი ბიჭია, ციციანი პოპოპოპოვი, ირაკლი ნინოკაშვილი, ვასილ ყვარცხელია


ელაზე ნახატი ზიქორი ნინოკაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ: 93 10 32, 93 41 30;

გამოცემის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ბა/44



მარინა ლომავრიძე

მარინა შოხვაძე

ნინო ბილაინიშვილი

ანო ლევდარიანი

ლუბა ჩხატარაიანი

ნინო კახლაძე

დავით ჩხეთრიანი

პეტე ქუთათაძე

ვათა ხალვაია

# ბავშვები

ლუბა კახაიძე

ლუბა სულგანიძე

სტეფანე გურგენიძე

2008

2004

იონა რეხვიანი

ირაკლი ავაშიძე

ირაკლი გოგინაშვილი

მანანა ბერიძე

# ნა ლს

შოთენა ტაბულაშვილი